რედაქცია

...ერევანის პროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლები ...ქვემოთ.

ხელის-მოწერა

...იღება თფილისში „დროების" რედაქციაში, ქუ-... (გვარამიის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე ...ისათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редак- „Дроэба".

„დროების" ფასი:

...წლისა . . . 9 მან. ‖ ნახევარ თვისა . . . 3 მან.
...ისა . . . . 5 მან. ‖ ერთის თვისა . . . 1 მან.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

დიდის ასოებით, ასოზე 1 კაპ., ... ასოზე ნახევარი კაპ., ... ზე 8 კაპ.

თუ ხელნაწერები მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დაუბეჭდავად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია ფოსტით არ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზე.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს ერთი შაური.

არწრუნის თეატრი

...ული წარმოდგენების დაწყება.

კვირას 26 სეკტემბერს

...ქართული დრამატიული დასისაგან იქნება წარმოდგენილი

I

პირველად

...ედა-დაშვილი

...დავით-აღმაშენებლის დროიდგან, ერთ სურათში, ...ქსად თ. ილ. ჭავჭავაძისა.

II

პირველად

ბ. ღომიძის დებიუტი

...ერი-ფერს, მადლი ღმერთს

...ა 3 მოქმედ. ალ. ჭიჭინაძისა.

დასაწყისი 8 საათზედ.

ტელეგრამმა

(...ბურგის ტელეგრაფის სააგენტოსი")

...ბურღი, 22 ენკენისთვეს. სამხედ... სასამართლოზედ პოლიტიკურ ...ობის გამო სასამართლომ გარ...ა: ადრინდელ სტუდენტს ...ს და მესჩანინს ევსეევს სიკ... დასჯა ჩამოღრჩობით; მეს... ხახლოვს და კუზიუმკინს კა...ში გაგზავნა, პირველი უგ... და მეორე 15 წლით. ხელმწი...სტრატორმა მოწყალება მიიღო ... და შეუმცირა სასჯელი: სიკვდილით დასჯა სამუდამო კატორღით, ხახლოვს 20 წლის კატორგა და კუზიუმკინს 4 წლით ზავოდებში გაგზავნა.

„ნოვოე ვრემიაში" სწერენ: გუშინ მოსკოვში დაურიგეს ჯილდოები გამოფენაში მონაწილეობის მიმღებთ. 5000 ექსპონენტებში 193-მა მიიღო სახელმწიფო გერბი, 167 ოქროს მედალი, 679 ვერცხლის მედალი, 1061 ბრონზისა, 1069-მა ქების ფურცელი და 127-მა ფულის საჩუქარი.

დღიური

კავკასიის სასამართლოების რევიზიისათვის გამოგზავნილი სენატორი ბერ ამ ჟამად ბაქოში იმყოფება, იქიდამ, როგორც ამბობენ, პეტერბურღში მიდის და კავკასიაში აღარ დაბრუნდებაო.

* * *

პეტერბურღის გაზეთებში იწერებიან, სახალხო განათლების სამინისტროსთან დანიშნულ კამისიას რეალურ სასწავლებელთა პროგრამმის შეცვლაზედ ექნება სჯა ამ ღვინობისთვეშიო.

მოგეხსენებათ, მთელი რუსეთის ნატვრა არის, რომ რეალურ სასწავლებლებში კურს-შესრულებულებს მიეცესთ უფლება უნივერსიტეტში და ყველა სხვა უმაღლესს სასწავლებლებში შესვლისა. მაგრამ ამ ჟამად ამ კანონიერ სურვილის შესრულებას ხსენებულ კამისიისგან არ უნდა მოველოდეთ.

* * *

გაზ. „კავკაზის" უკანასკნელს (251) ნომერში დაბეჭდილია დოქტორის კრასნოგლიადოვის წერილი, რომელშიაც გვაცნობებს, თუ როგორ არჩენს ის ბრაზიან მგლისაგან (მაშასადამე ძაღლისგანაც) დაკბენილებს:

ამას წინათ ექვსი სალდათი ჩამოიყვანეს გომბორიდამ, რომელთაგან 1 ცხვირ-პირში იყო დაკბენილი ბრაზიან მგლისაგან და დანარჩენი ხელფეხში და ტანზედაო. ყველა ამათ მე მიუჩინე ერთი ოთახი ტფ. სამხედრო საავათმყოფოშიო და მუდამ დღე თფილ წყალში ვაბანებდიო. ამას გარდა დღეში ორჯერ ვასმევდიო $1/_{14}$ გრანს თაგვის შაქარის ამიაკს (*avvenias ammonii*). ასე ვწამლობდი ორმოც-და-ორის დღის (ექვსი კვირის) განმავლობაში და შემდეგ ყველა შინ გავისტუმრეო. ორი კვირის შემდეგ ერთი სალდათი, რომელიც ცხვირ-პირში იყო დაკბენილი, ისევ ჩამოიყვანეს გომბორიდამ, გაგიჟებულიყო; დანარჩენი ხუთი კი სრულიად განთავისუფლდნენო.

კარგი იქნება, სხვა ექიმებმაც სცადონ ეს წამალი, იქნება ნამდვილი საშუალება გამოდგეს ამ საშინელ ავად-მყოფობისაგან ადამიანის დასაფარავად....

* * *

სიღნაღიდამ სწერენ „იურიდიულ მიმოხილვას", რომ სოფ. კოდალის მყოფი მომრიგებელ-მოსამართლის თანაშემწე თ. ჩერქეზოვი მომეტებულ ნაწილს დროს ქ. სიღნაღში ატარებს, ადგილობრივ კი უწყებით დაბარებული ხალხი უცდის, ცდება მუშაობას და სამართლის გათავებას დროზე ვერ ღირსებია.

* * *

ქუთაისიდამ გვწერენ, რომ იქაურ სომხის სკოლას ახალი მასწავლებლები მისულია და ახალი მზრუნველებიც ამოურჩევიათ. იმედი გვაქვსო, იწერებიან, რომ ეს ახალი პირები უკეთ წაიყვანენ საქმეს, ვიდრე ძველებს მიჰყავდათო...

* * *

ჩვენ მივიღეთ წერილი ბ. უნგიაძისა რომელიც, ერთობ აღელვებულამით, რომ ნიჩბისის მახლობლად მთიდგან გადმოსახლებულს მთიულებს გაუკეთებიათ ნიში თავიანთ სალოცავების სახელზედ და თავიანთის ჩვეულებისამებრ ხოცვენ საკლავს და ადიდებენ ლომისა მთავარ მოწამეს, ლაშარის წმიდა გიორგის, ფუცის ანგელოზს და სხვას. ამაზედ დიდათა წყრება და ითხოვს მთავრობისგან აღმოფხვრას და აღკრძალვას ამ ჯერული ღვთის დიდებისას.

ვარწმუნებთ ბ. უნგაიძეს, რომ აქ

...ების» ფელეტონი, 24 სექტემბ.

ქართველთ დევ-გმირი

...თ მთანო, ამერთ-იმერთ ვაკენით,
...ნო ტან სახით, დაწვ ბაგენით,
...ქვე-ღრით, გარდ-ყვავილთა მომრგენით!
...მეთ, თქვენ თავს რამე არგენით!..

—

...ზადენ, არმაზ, არის, აზული,
... ბახუს, დიმიტრ რია დაფლული,
... კოლა, გაიმ, გაც თვალ-აზმული,
... ზედ-სვე კი ისევ არს დაზმული!...

—

...ა დევ-გმირობის დრონია,
..., ინდელთ და ფინიკელთ დრონია;
...ისთ, ბერთ, მეფეთ სამტრონია,
...ე ქვაბნი, რუ-სხმულ ციხეთ გროვნია!...

—

...მყვანან მთა-ბართ საფლავთ ნაგნია,
...რილნი. ბეჭედ, სპეკალ მანგნია,
...ნი, ჯამ-ჭურჭელნი ბაკნია.
...ვენ, რომ თქვენ გწყლვენ მტრის მანგნია!..

—

...ის ხელთ არს ბედსვის ჯაჭვია,
გამცადს სრულ აქვს სავსე უბე, ჭაჭვია,
გაჭარს ფული, გლეხს თუ ხელთ აქვს მანჭვია,
მშიერ რჩება ხელოსანი მჭრანჭვია!..

—

ცით მფრენნი, ხმელს მხეც-ნადირნი მხადიან,
ზღვის ნიანგნი, ვეშაპ-თევზნი მბადიან,
ქვე-მძრომნი მის გზა-კვალს ხვედრ კერძს დადიან,
მაგრამ ქართველნი რიგ გარე გადიან!..

—

უზრუნველად სხედან, არას ნაღვლობენ,
ცარელ მიწა-წყალ, მთა-ბრეზზედ მაღლობენ!
არ უვლიან, არც ცხოვრებით ახლობენ;
მველებურად, ღატაკურად სახლობენ!..

—

მათ მამულში სხვანი თავსა ჭყვლიან,
სრულ იმენენ ნაყოფთ მთა-ბარ-ველიან:
მით დღე-დღეზედ თავის დასხნას ელიან,
ქართველნი კი კარგს არას ელიან!..

—

მღვდელი არ მღვდლობს, არცა ერი კარგია.
მამა-შვილობა ამდგარა კარგია!..
მმა მმას არ ჭსმობს არც და დასა არგია;
ცხვირ ჭკიდიათ სხვისა ბრალი ბარგია!

—

სწავლულთა ჭრუვნის ევროპელთ ცრუ-სახეა,
დიდ-კაცური გართულობის მახეა,
ქარტი, მოდათ ფანთაზები ნახეა,
თვის გვარ-ტომის, სჯულ-კანონის მლახეა!

—

უსწავლელთ აქცევს სირეგვნე დიდია,
არ აქვთ მოვლა, არც სარჩო ხელ-მკიდია,
არც სახლ-კარი, არც გზა, არცა ხიდია:
გაჭრებს ჭყმობენ, ხვალის დღესა მფიდია!..

—

სად არ არის ძველ ქართველ გმირთ მკრანია?
ინდოდ, თურქეთს მლევა-ყლეტა, სრვანია:
თავთ უხრიდნენ მეფე რვა თუ ცხრანია,
ხელთა ჭქონდათ მათ სასახლე სრანია?!

—

სად არს ვახტანგ, დავით კურატპალატი?
ბაგრატნი კვლავ ღირს დავითის პალატი?
თუნდ გიორგ, დიდ თამარ მათ მღალატი?
გაუცუდეს მტერს ომნი, უნჯთ ბალანტი!.

—

იცეს წმიდად მამა-პაპის სჯულია,
უბინოდ სხდნენ ასული თუ წულია,
მით სცხოვრობდნენ წუთს რომ ედგათ სულია,
სულით, ხორცით იყვნენ წმიდა სრულია.

—

ეს მაშინ, როს სჭვრიდნენ ბროლ-ლალმინანი,
ჭქონდათ ერთობა და მშვიდობა შინანი;
რა დაჭკარგეს ეს სიკეთე წინანი,
ჭგმეს სჯული, ზნეც და მმობაცა! ვინანი!

—

სრულ გაირყვნენ, სჯულსა სწამეს ცილია,
მაჭმადს მიყვა მესამედი წილია!...
არ ჭშთათ სიმხნე, რყვნისთ ცრუ-რწმენის ბრმვილია:
ეს მსჯის, არ მაქვს სულ დღე-ღამ მილია!

—

გსტირი მწარედ ცხარ ცრემლნი მდის ღვარადა,
შავში გზივარ, ვიგლეჯ თმა-დაწვთ მარადა,
არ მყავს მოყვას-მეგობარი გვარადა,
არც გულთ-მდები, არც შინ და არც გარადა

—

ღმერთო ჩემო, ნუ დამაკლებ იმედებს!
შენ დაუყავ პირი ქართველთ მტერთ-უბედებს.
მათ სახსრად ვინ უდთო გაიმეტებს?
შენგან ველი მათთვის ახალთ კარგ ბედებს!

1882 წ. ვინმე მესხი.

განსაკუთრებითი ასაღელვებელი არა არის-რა, თუ მთიულებს თავიანთი სალოცავების სახელზედ ნიში გაუკეთებიათ, თუ იქ ჩვეულებისამებრ შეიყრებიან, დროს ატარებენ ერთმანერთთან, ან ლაპარაკობენ თავიანთ საერო საქმეზედ, რომ ლომისმა მთავარ მოწამე არა ნიშნავს **ლომის** (მხეცის) მთავარ მოწამეს, არამედ ლომისა ერთი მთის სახელია, რომელზედაც ასვენია წმიდა გიორგის ხატი, პატივცემული ყველა ქრისტიანი მთიულებისა და მთიულებისაგან. აგრეთვე ლაშარის წმიდა გიორგის, არამედ ლაშარა ადგილსა ჰქვიან და სხვა.

რაც შეეხება ამ დღეობიდგან შემოსავალს, ჩვენ არ გვესმის რად გვირჩევს ბ. უნგანიძე, რომ მ. ნიკოლ. ჩხარტიევის სასარგებლოდ შეიქნეს?.. მაგის მაგივრად ის ურჩიოს მთიულებს, რომ ის შემოსავალი გადასდონ და იმით თავის დროზედ სასწავლებელი, ანუ სხვა რომელიმე სარო, თავიანთთეის სასარგებლო საქმე გამართონ?

მოვაგონებთ ბ. უნგაიძეს, რომ მთელს საქართველოში ჩვეულებათ არის მიღებული სხვა-და-სხვა სალოცავების სახელობაზედ ნიშები გამართონ და ამ გვარი ნიშის გამართვა მთიულებს სასაყვედუროთ არ ჩაეთვლება და შემოსავალს მღვდელი წაიღებს თუ დეკანოზი—ეგ სულ ერთი უნდა იყოს; განსხვავება იქნება მხოლოდ იმაში, რომ ამ გვარი დეკანოზი მომეტებულს შემთხვევაში აღმოირჩევიან ღარიბი მეზობლებისაგან და დანარჩენების დახმარებით შეძლებას შოულობენ და მემრე თავის მხრითაც გაღარიბებული მეზობლის შეიქნებიან.

ერთი შენიშვნაც: ნამდვილად ვიცით, რომ საცა კი მთებში დღემდინ დეკანოზობა დარჩენილა, ყველა ძვირფასი სამკაულები და ნივთები უფრო შეუნახავს მონასტრებსა და ეკკლესიებს, ვინემ იქ, საცა მღვდლები გაამწესეს, რომელთაც სულ აიკლეს, გაცარცვეს ეს მონასტრები.

* * *

ახალქალაქის მაზრიდამ გვაცნობებენ:

„ახალქალაქის უფროსმა ახლა ძველ ეკკლესიებს დაუწყო რღვევა. ალასტნის ეკკლესია სკოლად გარდაუკეთებინებია. კარი, ფანჯრები გამოუღებინებია. ამ სადგომში 30 მოწაფე არც მოთავსდება; სოფელი კი 150 მოსახლეზედ მეტია.

„თუ რომ ამ გვარ კაცებს ამ გვარი უფლება აქვსთ, „კავკასიის ისტორია-არხეოლოგიის საზოგადოება" ტყუილად თავს რაღად იტკენს ძველ დროების ნაშთთა დაცვისათვის?!"

* * *

ახალციხიდამ გვწერენ:

„სარატოვის ეპისკოპოსს ახალციხის სომეხ-კათოლიკეთ და ქართველთ კათოლიკეთ ბჭობა, ეკკლესიის სინდიკების თაობაზედ, ქართველ-კათოლიკეთ სასარგებლოდ გარდაუწყვეტია და სომხები გაუმტყუნებია. კანონი არის, რომ ერთს ეკკლესიაში ხუთნაირი გვარიც რომ იყოს, ყოველთ სიმართლე აქვსთ თავიანთ მხრით თვითო სინდიკი და კანდიდატი ჰყავდესო. დღემდის რომ მარტო თქვენ გიმართიათ ეკკლესია, შეცდომილი საქმეაო.

„ამის გამო სომეხთ კათოლიკეთ აწინდელი სინდიკები გარდუყენებია თავიანთ თანამდებობისაგან და უპრძანებია სხვანი უნდა ამოირჩიოთ როგორც ჩვენ, ისე ქართველ-კათოლიკეებმაო, რადგანც ეკკლესიის უძრავი თუ მოძრავი ქონება საყოველთაოა, ვერავინ ვერ დაიკუთნებსო. მაშ „მეღუს" თავის კორრესპონდენტების მოსაზრება თვითონ შერჩა, რომ ყოველიფერზედ ცრიაფანტიასავით ყვირის წინდაუხედავად, თითქოს ქვეყანა სომხებს დარჩენოდესო!"

„დროების" კორრესპონდენცია

—

რაჭა, 18 სეკტემბერს. წელს სულ არ ველოდით ხალხის შეკრებას ბუგეულის იარმუკაზედ; ერთი იმის მიზეზით, რომ გვალვისაგან ხალხი შეწუხებულია და რა იარმუკა აგონდებათ და მეორეც იმიტომ, რომ შარშანდელს იარმუკას ბევრი დაემდურა, ნამეტურ ვაჭართაგანი; მაგრამ, როგორც იქმნა, ძლივს შეიკრიბა სამასამდინ მოვაჭრენი ორისავე სქესისა, ესენიც ახლო-მახლო სოფლებიდგან გროვდებოდნენ.

საქონლის ვაჭრობა წელს ძალიან სუსტად წავიდა, ცხენის ჯოგი სულ არ მოურეკნიათ. მანუფაკტურის სავაჭროების დუქნები ოცამდი იქმნებოდა, მაგრამ ბევრი მუშტარი არც ამათ ჰყოლიათ.

ქვემო-რაჭის გლეხობა ძლიერ დაფიქრებულია წლევანდელ ცუდის მოსავლის გამო. ბევრს მათგანს ცხენიც არა ჰყავსთ, რომ სხვა ადგილებიდამ მოზიდონ სარჩო, და რომელსაც ჰყავს სიმიდის საზიდავი მოწყობილობა არა აქვსთ, ე. ი. ტომრები, გაწრები და სხვ. ხარით მოტანა ძნელია, ერთი სიშორის გამო და მეორე ცუდის გზებისა.

ამ უბედურებასთან ფულიც გაგვიძვირდა: ექვსი თუმნის ხარში ოცს მანეთს იძლევიან, ქცევა მიწა რომ ღირდეს ასი თუმანი—ოც-და-ათს არ მოგცემენ.

ზემო-რაჭის სოფლებში თითქმის სულ არ მოსულა სიმინდი; ისენი დიდის ხნიდგან არიან მიჩვეულნი შორიდგან მოსავლის ზიდვას და არ ეშინიანთ; ქვემო-რაჭის სოფლებში სახელდობრ: ხვანჭკარაში, ტოლაში, ჩორჯოში, ბოსტანაში, სადმელში, ძირაგეულში, კვაცხუთში, სხვავში, კრიხში და მახლო სოფლებში მესამედი ან მეოთხედი თუ მოვიდა.

წელს რაჭაში ღვინის მოსავალმაც იკლო. ზენა-ქარმა დაუკარგა ყურძენს მარცვალი. ძველი ღვინო კი ბევრია გასაყიდელი, მაგრამ მზის ნაწყენია.

მთები თითქმის მთლად გადაგვეწვა: ილიასის და მარიამობის თვეებში ცეცხლის ბურით იყო დაფარული მთელი რაჭა. მზე და მთვარე წითლად მოჩანდნენ და ამით უფრო შეშინდა ცრუ-მორწმუნე ხალხი, ამბობდნენ, ციდგან ცეცხლის ნაკვერცხლები ცვინდებაო და ქვეყანას ისე უჩნდება ცეცხლიო.

იარმუკაზედ ხშირი შეტაკება გახლდათ ხალხისა ხანჯლებით და ლეკუ-

ხმა გურიიდამ.

რა ღონის-ძიებანი გვჭირია?..

> თუ გული გულობს, ქადა—
> თრივე ხელით იჭმება.
>
> ანდაზა.

პირველს წერილში ჩვენ გვსურდა გვეთქვა, რომ გურიაში „კანონის შერყეულის ავტორიტეტისა და ხელმწიფების (**власть**) აღსადგენად"—სრულიად საჭირო არ იყო იმისთანა განსაკუთრებულ ღონის-ძიებათა მოღება, როგორიც იქნა, გარდა გურიის შეერთებისა ბათომთან, რომელიც ყოვლად მოსაწონია. (თვით ბათომის ოლქსაც რომ შემოუერთებდენ ქუთაისის გუბერნიას კიდევ უფრო მოსაწონი იქნება.)

მიზეზებს გურიის ეხლანდელ არასანატრელ მდგომარეობისას მარტო ამ ორი-სამი წელიწადის გარემოებათა და გაელინებაებში კი არ უნდა ვეძებდეთ, თუ გვინდა, რომ მაზრის საჭიროებას და ხალხის ტკივილს შესაფერი მალამო დავადოთ. არა; ამ მიზეზთა დასაბამი, განვითარება და, ჩვენებურ წყლებსავით, დღეს მისი ლუბრმიდამ გადარება—აიხსნება რამდენიმე ათი წლის წინედ დაწყობილ საგამგეო წესებით და გამგეთა პიროვნულ თვისებებით, რომელნიც და რომელთ მსგავსნი დღესაც მაჯლაჯუნასავით აწევს აქაურს საზოგადოებრივს სხეულს...

თითქმის უწინდელსავით, დღესაც ორი მესამედი ნაწილი ზოგადოცხოვრების განწყობილებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების მაჯის-ცემისა ექვემდებარება საგამგეო დაწესებულებებს, რომელთაც, თემობის უქონელობის გამო ჩვენში, მინიჭებული აქვსთ მათზე თითქმის სრულ-უფლებიანი მზრუნველობა და, ამასთანავე ვალად ადევსთ მათის ყოველ გვარის მოთხოვნილების დაკმაყოფილება. რამდენად ასრულებენ ეს დაწესებულებანი თავიანთს მოვალეობას და **როგორ** ასრულებენ—ამის აწერით ბევრს არ შევაწყენთ თავს, აქ ვიტყვით მხოლოდ მას, რომ ყოველივე მათი ვითარებანი, გარდა კარგისა, ასეულად მეტად ყოფილა იმ თავითვე და დღესაც არის ჩვენის მაზრის გამგეობაში... ამის შემდეგ, რად უნდა გაგვიკვირდეს, რომ აქაური გამგეობა ყველაფერს აქცევდეს ყურადღებას გარდა იმისა, რაც მისს ნამდვილს მოვალეობას და დანიშნულებას შეადგენს; რად უნდა გაეიოცოთ, რომ იგი თავისივე მაგალითით ასწავლიდეს ხალხს კანონის თავის დარებას, სამართლისათვის—ცხადად ფარისევლურს თაყვანისცემას და ფარულად—ფანდების მოგდებას; რად უნდა გვეუცხოვოს, რომ ამისთანა გამგეობის წყალობით მაზრაში „შერყეული არის კანონისა და ხელმწიფების (**власть**) ავტორიტეტი"—როგორც ითქვა ოფიციალურს შენიშვნაში გურიის შესახებ?!.

ვინც კი აქაურის ცხოვრების პირობების და იმ თავითვე უხამსის და გარყვნილის გამგეობის ზედ-მიწევნით მცოდნეა, მას ეს კი არა, ის გაუკვირდება, რომ უარესი მდგომარეობა რატომ არ არის აქ, რატომ **ორისა** თუ **სამის** ავაზაკის ნაცვლად ოცი და ოც-და-ათი*) მაინც არ დანავარდობს ამ უჯოხო სოფელში და სხვ...

არც უამისობა იქნება ახლოს მომავალში, თუ რაც შეიძლება მალე არ იქმნა მიღებული სათანადო ღონის ძიება. განა ხუმრობაა, როცა ათ-ათ წლობით უხეირო და უთაურისა გამგეობის ხელში იქნება ქვეყანა? განა არ ვიცით, რომ ჩვენში საუკეთესო შედგენილობა გამგეობაში მოსამსახურეთა იმ ნაირია, რომ მას გაფუჭება ბევრი რამესი შეუძლია და გაკეთება კი იმდენი არაფერის, და მაშასადამე, ამისთანა „კარგის" გამგეობის დადგენას მაინც თუ მეტის-მეტად არ დავუჩქარეთ ამ უბადრუკს მაზრაში, დღემდის და დღესაც არ მონიავარდე მოხელეთა ბოროტობისაგან გრაზ-მოსული ხალხი შეიძლება აჯანყდეს?.. ამ უბედურების თავიდამ ასაცილებლად საჭიროა და ფრიადაც საჭიროა, მიღებულ იქნან იმისთანა ღონის-ძიებანი, რომელნიც ბუნებითს წამალს უნდა შე-

*) ღენ. სმეკალოვის განკარგულებით რომ 60-ოდე კაცია დაჭერილი, მათ, ორიოდეს გარდა, ბრალად ედება ამ ორიოდე ავაზაკის სახლში მიღება, ვითომც შეწყობის მიცემაც და ღამის გათევინება. ისინი სამართლიანად იმართლებენ თავს, რომ, თუ ოდესმე მათივის ღამე გაგვითევინებებია, იმიტომ რომ ძალა მათს ხელში იყო და პოლიცია კი უთაური და უძლურიო. ნება რომ არ მოგვეცა და პოლიციისათვის შეგვეტყობინებია, პოლიცია მათ ან არ და ან ვერ დაიჭერდა და ჩვენ კი ფირალი მოგვკლავდაო... სამწუხაროდ, ო. დ. დადიანის გაზეთი გატაცებული თ. ო. დადიანის გამგეობის დაცვის სურვილით—მდუმარებს ყოველ ამისთანა ნამდვილ გარემოებებზე, ცდილობს ბრალი დასდოს ვიღაცა გამოუშასხრაკებულებს იურისპრუდენციაში", და სთხზავს ყარამანიანის ფანტაზიით 300-მდე ავაზაკებს გურიაში! „*Кавказъ*"-ი ჰთარგმნის ამისთანა ცილის წამებას გურიაზე და თან გულმტკივნეულებით დასძინებს: იმედია, ამ მაზრას ***умиротворенie*** (?!) მალე ეღირსებაო!

...ბევრი დაიჭრა, თავიც გაუ-... და რამდენიმე ცხენიც შეიქმ-...ლოდ. ამ ჩხუბების მოს-... და ხალხის დამშვიდებაში ... მონაწილეობა მიიღო თა-...ზიზო ქიფიანმა და მის ... პოლიციას კი ვერ ვხედავ-...

მ. სომხაძე.

...ლები რედაქტორთან.

...ნო რედაქტორო! ჟურნალ ...ბა“ უკანასკნელ წიგნში— ...ს მიმოხილვაში“,—რომელიც ...ზეთშიაც იყო გადაბეჭდილი, ...ბა სხვა-და-სხვა მიწის შესა-...ლ მაშინების შემოლებაზედ ...ლ ქუაში მომიიდა ბოვარ-...ანი № 2, რადგანაც ეს გუ-...ელ გამოდგება აქეთის მხრის ...თვის და მისს ფასსაც 52 მა-...როგორც იყო იქვე გამოცხა-... ყველა შესწვდებოდა. მარ-...ლესებიც კი მოვიდნენ: ...რის ველში ჩავდგებით და ...ლს არ გაუშვებს, თუ ...მაგ ფასად არის“.

...ლეებთაგანი ხომ თითონ მე ...მდის, რომელნიც თითო ...მგიერ, ოროლის გამოწერას ...ნ. ასე იმისთვის წახალისდა ...რომ ორი ეგზემპლიარი ამ ... კიდეც მუშაობს ეხლა ამ ... წასაქეზებლად ხალხისა ამ ...შემოღებაზედ მე გამოვგზავნე ...ცი ქალაქ ტფილისში და გა-...გამოცხადებული ფასი გუ-...2 მანეთი. მაგრამ ჩემგნით გამგზავნილი კაცი დაბრუნდა ცა-რილი და მითხრა, რომ 75 მანეთ ნაკლებ არ მომცეს ბოვარდის გუთანი № 2.

საკვირველია, მე ელდა მეცა ამის გამონს. ბუთნის ნაკლებმა ფასმა უფრო წაახალისა ხალხი და ეხლა ვიღა იყიდის? მიკვირს და ვარ გაოცებული, ასე ჩქარა როგორ ასწიეს მის ფასი ვაჭრებმა? იმ გუთნისვე გულითვის ეხლა თვითონ მე ვაპირობ ჩამოსვლას ტფილისში, მაგრამ მე კი ხათრს შემინახამენ და მოუკლებენ ფას თუ?

ძალიან კარგი იქნებოდა, ბატონო რედაქტორო, და დიდათაც დაგიმადლოდით, რომ შეგვატყობინოთ ადრესი, როგორ უნდა გამოვიწეროთ ეს გუთანი თვით იმ ადგილიდამ, სადაც მზადდება ან რამდენი უნდა წარვადგინოთ, თვითონ გუთნის ფასი გამოსაგზავნი ფულითურთ. ეს რომ გვასწავლოთ ძრიელ დაგიმადლებთ.

თ. მიხეილ მიხეილის-ძე ანდრონიკაშვილი.

ს. ვეჯინი. 18 სექტემბერს.

რედაქციის შენიშვნა. ამ წერილის გამოისობით ჩვენ შევკრიბეთ ნამდვილი ცნობანი ბ. თ. ა. პეპინოვის კანტორაში და აღმოჩნდა შემდეგი:

ინგლის-ბოლგარიის სისტემის ბოვარდის გუთანი კანტორაში მუდამ ისყიდებოდა და ახლაც ისყიდება შემდეგ ფასად:

№-1, რომელიც ხნავს სიღრმით 4 ვერშოკს და სიგანით 8 ვერშოკს, წონა გუთნისა 4 ფუთი და 28 გირვანქა—44 (ორმოც-და-ოთხი) მანეთი.

№-2, პირველზე უფრო დიდი, ხნავს სიღრმით 6 ვერშოკს, სიგანით 9, წონა გუთნისა—5 ფუთი და 30 გირვანქა, ფასი—52 (ორმოც-და-თორმეტი) მანეთი.

დღეს ბ. პეპინოვს აღარა აქვს ეს გუთნები გასასყიდლად თავის კანტორაში, მაგრამ ამ ერთს კვირაში ასიოდ გუთანს მოელის ფოთიდამ და კანტორაში დაგვარწმუნეს, რომ ზემო აღნიშნულ ფასებზე მეტ ფასად არ გაისყიდებაო, სხვებმაც ბევრმა ამ ფასად იყიდესო.

თ. მ. მ. ანდრონიკაშვილი რომ 75 მან. ახსენებს, ეს შეცდომა ალბად იქიდამ წარმომდგარა, რომ ბ. პეპინოვის კანტორის გვერდით არის კანტორა ბ. პიოვაროვისა, რომელსაც აგრეთვე აქვს რკინის გუთანი გასასყიდი და თითოს მართლა შვიდ თუმან ნახევრად ჰყიდის.

უკანასკნელი პასუხი ბ. გ—ლს.

„ქმარი ლაშქარს იყო—ცოლი ამბავს ახვედრებდაო“; სწორედ ეგრე მოგდით თქვენც: რომელმა სიტყვებმა ჩაგაგონათ ჩემ წერილში ჩემის მხრით გაზეთის დანიშნულების უცოდინარობა? ან და საიდამ შეისმინეთ, რომ „**მიუდგომელად და პირადობის გაურჩევლად ვერ მომიხერხებია ამ საქმეზედ ლაპარაკი?**“ იქნება ამ დასკვნამდის მიგიყვანათ ჩემი წერილის იმ ადგილმა, სადაც ვამბობ: **...საჭიროა საზოგადო სენზედ პირ-და-პირ, უფარდოთ, დასახელებით მიუთითო, უჩვენო ბუდე, სადაც ბინადრობს** თქვენგან ნახსენები „ოსტატების ...ობები?.. ან იქნება მეორე ...

...ჩვენ დარწმუნებული გართ—ეს სასწავლებელი სწორედ იმ განზრახვით არის დაარსებული, რომ ნამდვილი საზოგადო სენი აღმოფხვრას ჩვენი საზოგადოების ნიადაგიდამ; ეს სენი გახლავსთ ზოგიერთ პირებისაგან არა საქმები სარგებლობა ეხლანდელის საზოგადო მოთხოვნილებით სწავლა-განათლების სურვილში.

მაგრამ რა ბევრი გავაგრძელო, სულ მთელ ჩემ წერილს ხომ ვერ ამოგიწერთ ხელ-ახლავ.

„წინა მოჩივარი—ბატონს მართალი ეგონაო“—სწორედ თქვენც ეგრე მოგივიდათ, როდესაც მიქადით: „კარგად წაიკითხეთ და გაიგეთ, ბ. ლულაძე, ეს სიტყვებიო“. დიაღ, მეც გირჩევთ უმორჩილესად, „კარგად დააკვირდეთ“ ჩემს თქვენდამი მომართულ პასუხს. იმედი მაქვს მაშინ თქვენც დარწმუნდებით და არც „**სინიდისა შეგაწუხებსთ**“, რომ ამ საქმეში არავითარი „**პირადობის ანგარიში**“ არ არის, არამედ პირ-და-პირი სურვილი ჭეშმარიტების გამოაშკარავებისა.

„მენდეთ ამაზედ“.

თუ კი თქვენის აზრით წელს მცოდნე პირებისაგან ახალი პროგიმნაზიის დაარსება—ბოროტებაა და „**სამარე ახალგაზდობისათვის, რომელთაც სწყურიანთ სწავლა-განათლება**“, მაშ რაღა უნდა იყოს ის სასწავლებლები, რომელნიც ზოგიერთ კერძო პირებისაგან დაარსებულია, სადაც საზოგადოებამ სრულებითაც კი არ იცის რა უბედურება აწევება მას კისერზედ.

... იმ სენისათვის, რომლის ...საზოგადო ცხოვრებისა და ...ერსების ბუნებრივის კანო-...ღვევაშია... რამდენათაც ...ობთ აქაურს ცხოვრებას—...ობთ კი, რომ მას ზედ მი-...ცნობთ,—ვჰგონებთ ჩვენი ...ისის დარწმუნებით, რომ ...აუცილებლად საჭირო არის ...რების ბუნებრივს ღუბრ-...სათვის შემდეგ ღონისძიებაები:

...ულება იმ თხოვნისა, რო-...ევანდელ კრებამ იმერეთის ...ობისამ თვით ბურიისვე ...თ გარდასწყვიტა მიჰმართოს ... მართებლობას, და რომე-...მარეობს მასში, რომ შე-...ნაწილეობა ჰქონდეს ადგი-...ლემენტს თავის სამშობლო ...გეობაში თემობის შემო-...რომ გამიჯვნის დაჩქარებით ...არდეს თავ-თავისი საკუთ-...თი ხელთ-ექნეს წინდი ...ის წარმეტებისა, რომ ნა-...ჭირო შემოლებით ხალხს ...სამართლიანი სამართალი ...იქმნეს მოწმედ დანაშაულთ ...მართლებულსა და მართალთ ...ჯისა.

...ურიდამ დათხოვნა მთელი ...მაზრო გამგეობისა, რომელნიც ყველასაგან უკვე ცნობილია შემრყევად „კანონისა და ხელმწიფების ავტორიტეტისა“.

ბ) დაფუძნდეს მესამე სამომრიგებელო ნაწილი ღ. ლანჩხუთში, (როგორც საუკეთესო და ყველა პირობების შემცველ ადგილში ამ გვარის საჭიროებისათვის), რადგანაც ორ, დღემდის არსებული ნაწილი ოზურგეთს და ჩოხატაურს ერთი რომ, ვერ ასწრებენ საქმეთა უმრავლესობის დროზედ და სათანადოდ ვანხილვას და მეორე მთელი სანაპირო ბურია (40-ოდე სოფელი) ერთობ შორს არის და ფრიად ცუდის გზებით შეერთებულია ამ ადგილებზე.

დ) გაკეთებულ იქმნეს ეხლანდელი ფრიად ცუდი გზები და მით საშუალება მიეცეს ხალხს აღებ-მიცემობისა, რომელიც უმთავრესი წყარო ნივთიერი შეძლების მოსაპოვებლად.

ე) გაუმჯობესებულ იქმნას სასწავლო-აღმზრდელობითისა და ნივთიერის მხრივ უბედურს მდგომარეობაში ჩავარდნილ სკოლები.

ვ) ხელ-ახლავ დააყენონ ყარაულები ჩოლოქის უწინდელს საზღვარზედ, სახელდობრ იმ ადგილებზედ, სადაც გადადის ბურიიდამ ქობულეთში და ქობულეთიდამ ბურიაში ქვევითის სასიარულო გზები, რომლებზედაც ერთის მაზრიდამ მეორეში გადადიან, ურთი-ერთს ბინას უჩვენენ და იფარვენ ქობულეთელი ავაზაკი გურულს და გურიელი ქობულეთელს.

აი ამ ღონის-ძიებათა მიღების შემდეგ და მხოლოდ ამ ღონის-ძიებათა შემდეგ გვექნება სრული იმედი, რომ სოციალურის წყობილობისა და აღგილობრივის გამგეობის *) წყალობით საშინელებამდის მიღწეულს ბურიის მდგომარეობას დაეტყობა გაუმჯობესობის ნიშან-წყალი. თვინიერ ამ ღონის-ძიებათა მიღებისა არ არის ხსნა,—ეგაა ჩვენი რწმენა, რომელზედაც დაგვეთანხმება ყოველი გონიერი კაცი მიუდგომელად მოაზრე და მცოდნე აქაური გარემოებისა.

მაშ იწამონ ღმერთი მათ, ვისგანაც დამოკიდებულა ამ ყველასაგან სასურველ ღონის-ძიებათა მინიჭება ჩვენი მაზრისათვის, გადმოგვხედონ თავიანთის მოწყალე თვალით და, თვით თუ არ ინებებენ, დაგვინიშნონ მაზრის მდგომარეობის გამოსაკვლეველად აქაურ გარემოებათა მცოდნე აქაურივე ნასწავლი და განათლებული კაცები და რასაც ისინი მოახსენებენ, შეიწყნარონ და მით მისცენ „კეისრისა—კეისარს, და ღმრთისა—ღმერთს“...

„ირეკდეთ და განგეღოსთ თქვენ, ეძიებდეთ და ჰპოვებდეთ“—ეტყოდა თავის მოწაფეებს მაცხოვარი, და „აჰა ეგრე-რა“ დავრეკეთ და ვეძიეთ კიდეც, რამდენიც შევვძლებინა „ჩვენგან დამოუკიდებელმა გარემოებებმა“ და აბა, თუ ვნახავთ (იგულისხმე: თუ გვანახვებენ) რასაც ვეძებთ და თუ გაგვიღებენ სამართლიანობის და კანონიერ წადილთა დაკმაყოფილების კარებს, რომელზედაც ორმოც-დაორი წელიწადია ამაოდ ჰრეკავს ბურია...

ჭ.

*) ამ დღეებში თ. ან. ნაკაშიძის მკვლელობის თაობაზედ დანიშნულმა გამომძიებლებმა პასუხის-საგებლად მოიწვიეს პრისტავი (პოლიციის) გოგ—ძე, რომელიც ერთად თ. ო. დ—ნისა დასახელებულია თვით მკვლელისაგან, როგორც მისი ჩამგონებელნი და ხელ-მძღვანელნი ამ ბოროტებაში... ჩვენ და გასაოცრად, ეს პრისტავი ერთი წილ ამისთანა ბრალდების ქვეშაა, მაგრამ თავის ადგილზე მაინც იყო და დღეს თავდებით გაშვებული სასამართლოსაგან, კიდევ ასრულებს, თუ არა თავის თანამდებობას? სასურველია ამაზედ პასუხს გვიგზავნენ...

ვეიჩვენეთ ბოროტება თუნდ ამ ახლად დაარსებულ სასწავლებელშიაც და დიდი მადლობის ღირსი გახდებით; მაგრამ ამის თქმა თქვენ არ შეგიძლიათ, რადგანაც პროგიმნაზია მხოლოდ ამ დღეებში დაიბადა და არა იმ მიზნით, რომ „სახელმწიფო სასწავლებლებს" უმზადოს ყმაწვილები, არამედ საკუთრად, კერძო გიმნაზიად წაიყვანოს. ეს არის მიზანი ამ სასწავლებლის დაბადებისა, გარდა იმისა რომ ჩაჰფუშოს სხვა ზოგიერთ კერძო პირების გლეჯა-წეწვის სურვილის სისრულეში მოყვანა და საიდამ გამოიყვანეთ ის დასკვნა, როდესაც ამბობთ, რომ „ბ. ა. დულაძის ლოღიკით გამოდის—ბოროტებას უარესი ბოროტება რომ მიემატოს, ხმას ნუ ამოიღებთ?"

მჯერის რომ უწესოება ჰსუფევდა და ჰსუფევს კიდეც, ამას ჩემ პასუხშიაც მოგახსენებდით, მაგრამ რათ გინდათ, რომ მაინცა-და-მაინც ამ ახალ სასწავლებელს მოახვიოთ ისინი თავზე, როდესაც ჯერ-ჯერობით არც კი შეიძლება შენიშნოს მას კაცმა რაიმე არც ავი და არც კარგი? სასიამოვნო იქნება ჩვენთვის, თუ რომ აშკარად კეთილი თვალის მდევნელი ეყოლება საზოგადოების სწავლა-განათლების საქმეს ჩვენში.

ა. დულაძე.

თფილისის სამკურნალო

ავათმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

ორშაბათს გარალევიჩი და ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ზაზაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

სამშაბათს. მინკევიჩი—ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ზაზაევი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

ოთხშაბათს. ლისიცევი და მირამანოვი შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ზაზაევი—ძარღვების სისუს-ავათმყოფობისა.

ხუთშაბათს. ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ზაზაევი—ძარღვების ავათმყოფობისა.

პარასკევს. მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირამანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ზაზაევი—ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

შაბათს. ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ზაზაევი—ძარღ. ს სუსტის ავათმყოფობისა.

განცხადებანი

ტფილისის სამოქალაქო უპრავა საყოველთაოდ აცხადებს რომ მე 11 § ბ. ფინანსის მინისტრისაგან დამტკიცებულის დებულების ძალით 20 აპრილიდგან 1881 წ. ტფილისის სამოქალაქო საზოგადოებისაგან დაბეჭდვა 750,000 მ. ობლიგაციებისა, 1 ოკტომბერს ამა 1882 წ., დილის 12-ს საათზედ სამოქალაქო კრების ზალაში მოხდება მართველობის დასწრებით ტირაჟი სამოქალაქო ობლიგაციებისა 7,900 მან. (3—2)

პატივი მაქვს ვაცნობო ტფილისში მობრძანებულთ მოვაჭრეებთა, რომ ამ წლის 1-ის ოქტომბრიდგან მე ავიღე იჯარით სიონის სობოროს პირ-და-პირ ბ. ონანოვის ახალი ქარვასლა, რომელშიაც ვაწყობ ნომრებს რკინის კრაოტებით, ფეჩებით და ყოველი მოწყობილება იქმნება სუფთად.

ფასი იქნება იმავე წესით, როგორათაც სხვა ქარვასლებშია, იმავე რიგად, როგორადაც მქონდა უორხმაზის ქარვასლა იჯარით.

ამავე ქარვასლაში იმყოფებიან შუა ეტაჟში № 48 კომმისიონერი გ. ია. რატიანი და ყ. ი. ჩიქოვანი.

მოიჯარადრე მეორე გილდი
გევორქ გარლამის-ძე ახნაზაროვი.
(10—4)

ქვრივი გრიგოლ კლდიაშვილისა ეფროსინე ქაიხოსრო ყიფიანის ასული და მაზლები ამისა კანდრატი და ვიქტორ კლდიაშვილები უმორჩილესად სთხოვენ ნათესავებს მობრძანდნენ სოფელს სვიმონეთს ორს ოქტომბერს, სადაც ექმნებათ ორმოცის ჩვეულებრივი ტირილი პირველის ქმრისა და მეორეებთ დედისა, რომელნიც ერთსა და იმავე დროს გარდაიცვალნენ 3—2

საქალებო გიმნაზიის მეექვსე კლასის შაგირდი იაფად ამეორებინებს და ამზადებს ყმაწვილებს თავის სახლში.

ადრესი: გოლოვინის პროსპექტი, სახლის № 44, ფოჩტის სტანციის პირდაპირ. (5—5)

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

სახსოვარი

ბატონიშვილის ალექსანდრეს-მის ირაკლის გარდაცვალებაზე.

შეკრებილი და გამოცემული
ზ. ჭიჭინაძისაგან
ფასი ხუთი შაური.

ქართველ ქალებისაგან ნათარგმნი

მოთხრობანი

წიგნი მეორე.

ისყიდება ტფილისში: შავერდოვთან, ჩარკვიანთან და გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ).

ქუთაისში: ჭილაძის და ნიკოლაძის მაღაზიაში.

გორში: მ. კერესელიძესთან.

დაიბეჭდა და გამოვიდა ახალი სომხური წიგნი

მწყემსის სტვირი

ლექსები, სიმღერები და ზღაპრები

ცნობის-მოყვარე ყრმათათვის
სკოლაში და შინ საკითხავად
ალაიანცისა
გამოცემა გ. მ. შავერდოვის გაზეთის სააგენტოსი.
ფასი ერთი აბაზი
(10—10)

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

მამულის
საერთო მფლობელობაზე

თხზულება
ანტონ ფურცელაძისა
გამოცემული
ზაქარ ჭიჭინაძისაგან.
ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

დაიბეჭდა, გამოვიდა და ისყიდება თფილისის წიგნის მაღაზიებში

იგავ-არაკნი

კრილოვისაგან და სიბრძნე-სიცრუიდგან გალექსილი თ. რ. ერისთვისა.

ისყიდება

თფილისის წიგნის მაღაზიებში ახლად გამოსული რუსულს ენაზე წიგნი.

Грузинскія крестьянскія грамоты, крѣпостные и судебные акты, грамоты и письма грузинскихъ и персидскихъ царственныхъ особъ. (Матералы для исторіи древной грузіи).

сост. Д. П. Пурцеладзе.

ქუთაისში ისყიდება ჭილაძეების მაღაზიაში.

ფასი ერთი მანეთი

ტაქსია

საკვებავ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით 1 სეკტემბერიდამ 1 ოკტომბრამდის.

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის		
პირველის ხარისხის	—1 გირ.	5 კ.
მეორის „	—1 გირ.	3 1/2
მესამის „	—1 გირ.	—
იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:		
პირველის ხარისხის	—1 გირ.	5 1/2
მეორის „	—1 გირ.	4 კ.
ჯვარის-მამის პური:		
პირველ ხარის. ლავაში	1 გირ.	6 კ.
მეორის „ „	—1 გირ.	5 კ.
მესამის „ „	—1 გირ.	4 1/2
ძროხის ხორცი:		
პირველის ხარისხის	—1 გირ.	8 კ.
მეორის „	—1 გირ.	7 კ.
სუკი — —	—1 გირ.	14 კ.
ცხვრის ხორცი	1 გირ.	9 კ.
ღორის ხორცი:		
პირველი ხარისხის	—1 გირ.	— კ.
მეორის „	—1 გირ.	— კ.

გამოვიდა ცალკე წიგნათ
დრამა

სამშობლო!

ისყიდება შავერდოვის სააგენტოში.
ფასი 60 კაპ. (20—20)

ბიბლიოგრაფიული განცხადება.

ბუნების კარი, ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი უმცროსს კლასებში სახმარებელი, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან, დაიბეჭდა მეოთხე შეცვლილი გამოცემა და ისყიდება გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში, კუკიის ხიდის ყურთან. ფასი თხუთმეტი შაური. სასწავლებლებს და კერძო პირებს, რომელნიც იყიდიან ნაღდს ფულზედ ერთად თხუთმეტს ეგზემპლარისა, ანუ მომეტებულსა, დაეთმობა ეგზემპლიარი თოთხმეტ შაურად; ვინც ოც-და-ათს ეგზემპლიარს იყიდის, წიგნი მიეცემა ცამეტ შაურადა. ყდისათვის უნდა დაემატოს სამი შაური.

კარტა საქართველოსი, მეორე შევსებული გამოცემა; ისყიდება იმავე მაღაზიაში. ფასი სამი აბაზი; ვინც ათს ეგზემპლიარს იყიდის, კარტა მიეცემა თერთმეტ შაურად, ოცი ეგზემპლიარის მყიდველს—ათს შაურადა.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 23 Сентября 1882 г. *Типографія Меликова* გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი